სს „სილქნეტის“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან
დაშვების მომსახურების შეთავაზების წინადადება

(მ ო ნ წ ვ ე ვ ი ს ო ფ ე რ ტ ა)

ქ. თბილისი
2018 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია სს „სილქნეტის“ (შემდგომში: „ოფერენტი“) ინტერნეტის გლობალურ რესურსეთან მომსახურების პირობები, რომელიც ვრცელდება დაშვების მსურველ ყველა ავტორიზირებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი“) და მიღებულია ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის და დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებების შესრულების მიზნით.

„ოფერენტის" ინტერნეტის გლობალურ რესერსებთან დაშვების მომსახურებას ახორციელებს შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების პირობები

1.1. „ოფერენტი“ უზრუნველყოფს ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვებას და მომსახურების მიწოდებას, რაც გულისხმობს წინამდებარე ოფერტის საფუძველზე მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინენული მოცულობის ფარგლებში გლობალურ ინტერნეტ რესურსებთან წვდომას.

1.2. „ოფერენტის“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების მიწოდების მისამართი:

- თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.N95

1.3. „ოფერენტის“ მიერ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგი პარამეტრების მიხედვით:
- ფიზიკურ დონეზე მიერთება (OSI მოდელის პირველი და მეორე დონე) ხორციელდება Ethernet სტანდარტით (802.3i, 802.3u, 802.3ab, 802.3z);
- ლოგიკური ურთიერთჩართვისთვის (OSI მოდელის მესამე დონე) გამოიყენება Ipv4 და IPv6 სტანდარტები.

1.4. „აქცეპტანტი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს მომსახურების მოსაწყობად/მისაღებად საჭირო სამუშაოების ჩატარება წინამდებარე ოფერტის 1.2. პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე.

მუხლი 2. „ოფერენტის“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების ტარიფები

2.1. „ოფერენტის“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების ტარიფები მოცემულია ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მიწოდების მისამართისათვის (თბილისი, წინამძღვრიშვილის N95) და გათვალისწინებულია დანართში N 1

2.2. „ოფერენტის“ ინიციატივით მის მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე პირობების, მათ შორის ტარიფის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს ცალმხრივად, "ოფერენტის“ მიმართ კანონმდებლობითა და სსიპ საქართველოს კომუნიკაცების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ვალდებულებების გათავალისწინებით, „აქცეპტანტისათვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ცვლილების განხორციელებამდე მინიმუმ 2 (ორი) კვირით ადრე მაინც. შეტყობინებას უთანაბრდება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში „ოფერენტის“ მიერ ტარიფების გამოქვეყნება „კომისიის“ ოფიციალურ ვებ–გვერდზე ინტერნეტში (www.gncc.ge) ამ პუნქტით გათვალისწინებული წესით ტარიფის ცვლილება უთანაბრდება „აქცეპტანტთან“ გაფორმებულ ინტერნეტის რესურსებთან დაშვების მომსახურების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

2.3. თუ „აქცეპტანტი“ არ ეთანხმება პირობების ან ტარიფების ცვლილებას, იგი ვალდებულია წერილობით აცნობოს „ოფერენტს“ წინამდებარე ოფერტის 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. აღნიშნული ქმედება განხილულ იქნება როგორც უარი მომსახურების მიღებაზე, შესაბამისად, „ოფერენტი“ უფლებამოსილია დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეაჩეროს/შეწყვიტოს

ხელშეკრულება წინამდებარე "ოფერტით" განსაზღვრულ მომსახურებაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2.4. თუ წინამდებარე ოფერტის 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში „აქცეპტანტი" წერილობითი ფორმით არ განაცხადებს უარს „ოფერენტის" მიერ განსახორციელებელ ცვლილებაზე, ჩაითვლება, რომ აღნიშნული ცვლილება „აქცეპტანტის" მიერ მიღებულ იქნა უპირობოდ.

მუხლი 3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს გაწეული მომსახურების შესახებ წარდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, სრული მოცულობით არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 (ოცდახუთი) რიცხვისა. მხარეებს შორის გაწეულ მომსახურებაზე ფორმდება საოქმო გადაწყვეტილება. საოქმო გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების სახეები, მისი ოდენობა, მხარეთა კუთვნილი თანხები და საბოლოოდ გადასახდელი თანხა გადახდის თარიღის მითითებით. მხარეები ერთმანეთს ელექტრონული ფოსტის გამოყენებით უგზავნიან ინფორმაციას მათ მიერ გაწეული მომსახურების შესახებ (გაწეული მომსახურების სახის, მისი ოდენობისა და საფასურის მითითებით) არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვისა („ოფერენტისთვის" მონაცემების მიწოდება ხდება ელექტრუნული ფოსტის მისამართზე invoices@silknet.com). „აქცეპტნატის" მიერ მონაცემების დროულად არ წარმოდგენის შემთხვევაში გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების შედგენა ხდება "ოფერენტის" მონაცემების საფუძველზე. „ოფერენტი" გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილებას „აქცეპტანტს" უგზავნის არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვისა, ხოლო „აქცეპტანტი" თავისი მხრიდან ხელმოწერილ ამავე საოქმო გადაწყვეტილების ერთ ეგზემპლარს "ოფერენტს" უბრუნებს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 (ოცი) რიცხვისა.

3.2. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით და წინამდებარე პუნქტის მიხედვით დადგენილი პირობების დაცვით მეორე მხარეს წარუდგენს გადაანგარიშების მოთხოვნას საოქმო გადაწყვეტილების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. მხარის მიერ გადაანგარიშების მოთხოვნაში დაფიქსირებული უნდა იყოს დარიცხული თანხის რა ნაწილს ეთანხმება იგი და რას არა, რა საფუძვლით ხდის სადაოდ დარიცხულ თანხას. ასევე, გადაანგარიშების მოთხოვნას თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი თუ სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მხარის მოთხოვნის საფუძვლიანობას.

3.3. წინამდებარე მოწვევის ოფერტის 3.2. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს ორმხრივად შეთანხმებულ ანუ არასადაო ნაწილზე, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. გადაანგარიშების მოთხოვნის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში შეუთანხმებელ ნაწილზე მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში სწავლობს მხარეთა მიერ წარმოდგენილ შესაბამის დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს შეუთანხმებელი ნაწილის შეთანხმებას. ანგარიშსწორება განხორციელდება შეთანხმების ოქმის საფუძველზე ოქმის შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას თითოეული უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უმიზეზოდ უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე ან/და შეგნებულად ხელს უშლის ერთობლივი კომისიის მუშაობას, ერთობლივი კომისიის მუშაობის, სასამართლოში დავის განხილვის პერიოდში, „აქცეპტანტის" მიერ "ოფერენტისაგან" მიღებული მომსახურების საფასურის სრული ოდენობით მისაღებად, „ოფერენტი" უფლებამოსილია გამოიყენოს წინამდებარე ოფერტის 4.2. პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალება ან/და შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს მომსახურების გაწევა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3.4. ყველა სხვა შემთხვევაში (მათ შორის, როდესაც „აქცეპტანტი" არ აწერს ხელს საოქმო გადაწყვეტილებას), ანგარიშსწორება განხორციელდება „ოფერენტის" მიერ „აქცეპტანტისათვის" წარდგენილი გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული თანხების სრული ოდენობით, წინამდებარე ოფერტითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული

ვადებისა და პირობების შესაბამისად.

3.5. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მოახდინონ მეორე მხარისათვის დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ამასთან, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვისა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის.

3.6. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „ოფერენტი" უფლებამოსილია „აქცეპტანტს" დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, „აქცეპტანტის" მიერ ჩარიცხული თანხებიდან პირველ რიგში დაიფარება პირგასამტეხლო/ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ ძირითადი დავალიანება.

3.7. პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს „ოფერენტის" უფლებას და არა ვალდებულებას, „აქცეპტანტის" მიმართ. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება წარმოიშობა „აქცეპტანტისათვის" „ოფერენტის" წერილობითი მოთხოვნის წარდგენის დღიდან, ამასთან პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა ხორციელდება ანგარიშსწორების ვადის გადაცილების დღიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის წარდგენის თარიღისა.

3.8. ფინანსური ვალდებულების დარღვევაში იგულისხმება დადგენილ ვადაში „აქცეპტანტის" მიერ „ოფერენტისათვის" თანხის გადაუხდელობა ან/და არასრულად გადახდა.

3.9. თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აისახება „ოფერენტის" შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

3.10. „ოფერენტი" უფლებამოსილია „აქცეპტანტს" მოსთხოვოს საგარანტიო თანხის წარმოდგენა, რაც „აქცეპტანტმა" უნდა შეასრულოს მოთხოვნიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. „აქცეპტანტის" მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებების წარუდგენლობა შეიძლება გახდეს მომსახურების შეჩერების/შეწყვეტის საფუძველი.

3.11. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა გულისხმობს აქცეპტანტის მიერ ოფერენტის ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას, რომელიც მოიაზრება ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების გარანტიად და იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტანტი არ დაფარავს ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებას, ოფერენტი უფლებამოსილია აქცეპტანტის მხრიდან ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე დაიკმაყოფილოს მოთხოვნა საგარანტიო თანხიდან წინამდებარე პუნქტის 3.6. ქვეპუნქტით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით.

მუხლი 4. „ოფერენტის" ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების განხორციელების პირობები და პროცედურები:

4.1. „აქცეპტანტი" ვალდებულია წარმოადგინოს:

4.1.1 ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

4.1.2 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

4.1.3 უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4.1.4 სრულად შევსებული განაცხადი (დანართი #2), განაცხადი იგზავნება ელექტრონულად მისამართზე: carriers.request@silknet.com და ფოსტით მისამართზე: სს „სილქნეტი", წინამძღვრიშვილის #95, თბილისი, საქართველო;

4.1.5 წინამდებარე ოფერტის 4.1 პუნქტის 4.1.4. ქვეპუნქტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში დაფიქსირებული უნდა იყოს „აქცეპტანტის" დასტური რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს წინამდებარე ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;

4.2. წინამდებარე ოფერტის საფუძველზე ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების ხელშეკრულების გაფორმებამდე „აქცეპტანტი" ვალდებულია აგრეთვე „ოფერენტის" მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს:

- „ოფერენტის" საბანკო ანგარიშზე საგარანტიო თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი;

4.3. იმ შემთხვევაში, თუ „აქცეპტანტის" მიერ ინტერნეტის მოცულობა ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში გაიზრდება, „ოფერენტი" უფლებამოსილია მოსთხოვოს და „აქცეპტანტი" ვალდებულია 2 (ორი) კვირის განმავლობაში წარადგინოს ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს 2 (ორი) თვის განმავლობაში

„ოფერენტისთვის“ გადასახდელ თანხას გაზრდილი მოცულობის პირობებში. ამ პუნქტის დარღვევა წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების ხელშეკრულების პირობის არსებით დარღვევას და „ოფერენტი“ იტოვებს უფლებას შეუჩეროს/შეუწყვიტოს „აქცეპტანტს“ ხელშეკრულება, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

4.4. „აქცეპტანტს“ განაცხადის გაკეთების მომენტისათვის არ უნდა გააჩნდეს "ოფერენტის" წინაშე შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულება (დავალიანება).

4.5. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების ტექნიკური უზრუნველყოფის ვადების ათვლა იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 4.1. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია „აქცეპტანტის“ მიერ "ოფერენტისათვის" წარდგენილია როგორც ელექტრონული ფორმით, ასევე წერილობით.

4.6. „აქცეპტანტის“ მიმართვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში „ოფერენტი" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა „აქცეპტანტის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია 4.1 პუნქტის მოთხოვნებს. თუ 4.1 პუნქტის ერთი მოთხოვნა მაინც არ არის დაკმაყოფილებული ან/და „აქცეპტანტს“ გააჩნია დავალიანება „ოფერენტის" მიმართ, მას უბრუნდება განაცხადი და ჩაითვლება რომ „აქცეპტანტის“ მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა.

4.7. თუ „აქცეპტანტის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს 4.1. პუნქტით განსაზღვრულ პირობებს და მას არ გააჩნია დავალიანება „ოფერენტის" მიმართ, „აქცეპტანტის“ მიმართვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში „ოფერენტი“ შეისწავლის არის თუ არა მოთხოვნილი მოცულობით ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების ტექნიკური შესაძლებლობა „აქცეპტანტის“ მიერ წინამდებარე ოფერტის 4.1. პუნქტის 4.1.4 ქვეპუნქტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში მითითებულ წერტილში. თუ ტექნიკური შესაძლებლობა არ არსებობს, მაშინ „აქცეპტანტს“ ეცნობება უარი და ჩაითვლება, რომ „აქცეპტანტის“ მიერ განაცხადი არ გაკეთებულა.

4.8. თუ აღნიშნული შესაძლებლობა არსებობს, მაშინ „ოფერენტი“ ატყობინებს „აქცეპტანტს“ პასუხს და უგზავნის მას ხელშეკრულებას.

4.9. „აქცეპტანტი“ ვალდებულია 7 კალენდარული დღის ვადაში მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება უკან დაუბრუნოს „ოფერენტს“. თუ ამ ვადაში ხელმოწერილი ხელშეკრულება არ იქნება დაბრუნებული, ითვლება რომ „აქცეპტანტი“ უარს აცხადებს ოფერტაზე და „ოფერენტი“ დაუყოვნებლივ შეწყვეტს „აქცეპტანტთან“ ფაქტობრივი ურთიერთობებს, მათი არსებობის შემთხვევაში, რა დროსაც „აქცეპტანტი“ ვალდებულია აუნაზღაუროს ოფერენტს ფაქტობრივად მიღებული მომსახურების ღირებულება.

4.10. 4.9. პუნქტის შესაბამისად „ოფერენტის“ მიერ „აქცეპტანტისგან“ ხელმოწერილი ხელშეკრულების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში „ოფერენტი“ ვალდებულია გაუგზავნოს „აქცეპტანტს“ მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება და 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს მომსახურების ორგანიზება „აქცეპტანტის“ მიერ გამოყოფილ პირებთან ერთად.

4.11. ის ავტორიზებული პირები, რომლებსაც აქვთ „ოფერენტთან“ წინამდებარე ოფერტის შესაბამისად გაფორმებული მოქმედი მომსახურების ხელშეკრულება, დამატებითი მოცულობის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულნი არიან იმოქმედონ მე - 4 მუხლში აღწერილი პროცედურის შესაბამისად.

4.12. „ოფერენტი“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 10 მაისის №4 დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ი ს შესაბამისად.

4.13. „აქცეპტანტისთვის“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების გაწევა ხორციელდება შემდეგი პარამეტრებით:

მიმართულება	დაყოვნება (მილიწამი)	ჯიტერი (მილიწამი)	დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი (%)	მომსახურების ხელმისაწვდომობა (თვეში)
ევროპა	<60	<10	<2	99.50%
აშშ	<100			
რუსეთი	<40			
ჩინეთი	<200			
სხვა	<250			

4.14. დაზიანების შემთხვევაში, „აქცეპტანტი“ ვალდებულია „ოფერენტს“ გაუგზავნოს დაზიანების შესახებ შეტყობინება, რაც უნდა მოიცავდეს დაზიანების შესახებ დეტალური ინფორმაციას, მათ შორის დაზიანების დროს.

4.15. დაზიანების პერიოდად განისაზღვრება დროის მონაკვეთი გამოგზავნილი დაზიანების შესახებ შეტყობინების მიღებიდან დაზიანების აღდგენამდე.

მუხლი 5. „ოფერენტის“ ინტერნეტის რესურსებთან დაშვების მომსახურების/ შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

5.1. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების ხელშეკრულება მოქმედებს 12 თვის ვადით.

5.2. „ხელშეკრულება“ ავტომატურად გრძელდება იგივე ვადით, თუ ერთ-ერთი მხარე მეორე მხარეს „ხელშეკრულების“ ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობით არ აცნობებს „ხელშეკრულების“ დასრულების შესახებ. აღნიშნული პირობა ვრცელდება ყოველი 12 თვიანი ვადის ამოწურვისას.

5.3. „ოფერენტი“ უფლებამოსილია „ხელშეკრულების“ პირობების დარღვევის შემთხვევაში, დარღვევის აღმოჩენის მომდევნო დღიდან შეუჩეროს „აქცეპტანტს“ მომსახურების მიწოდება და განუსაზღვროს ვადა დარღვევების აღმოსაფხვრელად. დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, „ოფერენტი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ დამატებითი ვადის განსაზღვრის გარეშე;

5.4. „ოფერენტი“ უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ შეწყვეტამდე 1 (ერთი თვის) თვით ადრე „სილქნეტს“ წერილობით აცნობებს შეწყვეტის თაობაზე;

5.5. ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საფუძვლები:

5.5.1. მხარეთა შეთანხმება;

5.5.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა;

5.5.3. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის ლიკვიდაცია;

5.5.4. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება;

5.5.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

მუხლი 6. ინფორმაციის გაცვლა მხარეთა შორის

6.1. მხარეები თანხმდებიან, რომ გაცვლიან ქსელის ტექნიკურ და სხვა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ხარისხისიანი, ხელმისაწვდომი და ეფექტური მომსახურების უზრუნველსაყოფად. ამასთან, ერთ-ერთი მხარის მიერ მიწოდებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია ჩაითვლება კონფიდენციალურად. ეს ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ის იქნა მიწოდებული.

6.2. მხარეები არ არიან უფლებამოსილნი, მეორე მხარის ნებართვის გარეშე გადასცენ მესამე პირს ზემოხსენებული ინფორმაცია, თუ კანონის საფუძველზე არ არსებობს ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება.

6.3. ინფორმაციის მიწოდების პერიოდულობა განისაზღვრება მხარეთა საჭიროების მიხედვით. მეორე მხარის მიერ ინფორმაციის მიწოდების შესახებ განცხადების მიღების შემთხვევაში, სათანადო ინფორმაცია გაცემულ უნდა იქნას არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

მუხლი 7. “ოფერენტის“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები

7.1. „ოფერენტმა“ „აქცეპტანტს“ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე უნდა შეატყობინოს გეგმიური სარემონტო ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარების შესახებ.

7.2. 7.1 პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი გაფრთხილების ვადა შეიძლება შემცირდეს ან საერთოდ გამოირიცხოს, თუ სარემონტო ან აღდგენითი ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარება „ოფერენტს" არ შეეძლო წინასწარ გაეთვალისწინებინა და თუ სამუშაოების ჩატარება საჭიროა დაუყოვნებლივ.

7.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებ

7.4. "დაუძლეველი ძალის"' ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობენ „ხელშეკრულების" დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება „ხელშეკრულების" მხარეებს არ შეუძლიათ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ;

7.5. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა) აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები). საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს „ხელშეკრულების" მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა;

7.6. თუ ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. „ხელშეკრულების" მხარემ, რომლისათვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს „ხელშეკრულების" მეორე მხარეს წერილობით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში „ხელშეკრულების" მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

მუხლი 8.ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვება და უსაფრთხოების დაცვა

8.1. „ოფერენტი" და „აქცეპტანტი" ვალდებულნი არიან უწყვეტ რეჟიმში აკონტროლონ ქსელის უსაფთხოება და გამართული ფუნქციონირება.

8.2. მოთხოვნის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ერთმანეთის თანამშრომელთა დაშვება არსებულ შეერთებებთან, რათა მათ შეძლონ სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებით გააკონტროლონ ინტერნეტ ტრაფიკი მიერთების წერტილებში.

8.3. „აქცეპტანტი" იღებს ვალდებულებას, რომ მისი აპარატურა და დანადგარები, რომლებიც მიერთებული იქნებიან „ოფერენტის" აპარატურასთან, იქნება თავსებადი, არ დააზიანებს „ოფერენტის" აპარატურას ან/და არ გამოიწვევს „ოფერენტის" ქსელის ნორმალური ფუნქციონირების საზიანო ხელშეშლას.

8.4. 8.3. პუნქტში მითითებული გარემოებების დადგომისას, თუ სხვა საშუალებით საფრთხის არიდება შეუძლებელია, მხარე შეაჩერებს მომსახურების მიწოდებას და დაუყოვნებლივ მიიღებს ყველა ზომას ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად. საჭიროების შემთხვევაში მხარეები შექმნიან ერთობლივ კომისიას. საზიანო ხელშეშლა გულისხმობს ხელშეშლას, რომელიც საზიანო (მავნე) ზეგავლენას ახდენს მხარის კუთვნილი ქსელის ელემენტებზე, აპარატურაზე, მოწყობილობებზე, ბოლო მომხმარებლის ტერმინალურ მოწყობილობებზე და ნებისმიერ საგანზე, რომელიც შეაფერხებს მომსახურების მიწოდებას ან დაუკარგავს ხარისხს ან გამოიწვევს მომსახურების გაწყვეტას ან რაიმე სახის ზეგავლენას მოახდენს ქსელის უსაფრთხოებაზე ან საფრთხეს შეუქმნის მის გამართულ ფუნქციონირებას და ურთიერთოპერაბელურობას.

მუხლი 9. დავების განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან „ხელშეკრულებასთან" დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ან/და სასამართლოს მიერ საქართველოს

კანონმდებლობის დადგენილი წესით.

მუხლი 10.დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულებისა და მოწვევის ოფერტის პირობების კოლიზიის (ურთიერთგამომრიცხავი დებულებების არსებობის) შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მოწვევის ოფერტას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება ითვალისწინებს მომსახურების მიღების უკეთეს პირობებს. მოწვევის ოფერტაში ცვლილებების შეტანის ან ახალი მოწვევის ოფერტის მიღებისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნების შემთხვევაში, შეცვლილი/ახალი მოწვევის ოფერტა ავტომატურად ხდება შესაბამისი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი, გამოქვეყნების დღიდან ან თავად მოწვევის ოფერტაში მითითებული თარიღიდან.

მუხლი 11. ოფერტის მოქმედების ვადა

წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერზე გამოქვეყნების დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31დეკემბრის ჩათვლით.

დანართი №1

ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების ტარიფები

სიჩქარე (მბ/წმ)	ტარიფი (1მბ/წმ -სთვის)
1-50	18.00
51-100	17.00
101-200	16.00
201-500	15.00
501-2000	14.00

შენიშვნა: ტარიფები მოცემულია ლარში, დღგ–ს გარეშე.

დანართი №2

„ოფერენტის“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მოთხოვნის ფორმა

1. **შეკვეთის ტიპი**

სილქნეტის ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვება მიწოდების წერტილის მისამართი: გლობალური ინტერნეტის მოცულობა: ლოკალური ინტერნეტის მოცულობა:
დამატებითი მომსახურებები მომსახურების **ორგანიზება** ☐ მომსახურების ორგანიზება განხორციელდება სილქნეტის მიერ ☐ მომსახურების ორგანიზება განხორციელდება ავტორიზებული პირის (კომპანიის) მიერ

2. **საკონტაქტო ინფორმაცია (ივსება ოპერატორის მიერ)**

ინფორმაცია კომპანიის შესახებ	**ოპერატორი**
კომპანიის საკონტაქტო პირი და ტელ. ნომერი	
კომპანიის სახელწოდება	
საიდენტიფიკაციო ნომერი:	
ფიზიკური მისამართი (ქუჩა)	
მისამართი (საფოსტო კოდი)	
საკონტაქტო პირის ელექტრონული მისამართი	
ავარიის შემთავევაში შეტყობინების გაგზავნის ელექტრონული მისამართი	
კომენტარი	

3. **დამატებითი ინფორმაცია**

4. **დასტური**

ვადასტურებ, რომ გავეცანი, ვეთანხმები და უპირობოდ შევასრულებ სს „სილქნეტის“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) ყველა პირობას.

კომპანიის ხელმძღვანელის თანამდებობა და ხელმოწერა _____